



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1011
23/05/2018

ქალაქი ბათუმი

1011-05-4-201805231740



კახაბერ ფუტკარაძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 107-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და კახაბერ ფუტკარაძის 2018 წლის 20 აპრილის №1118-05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. კახაბერ ფუტკარაძე გათავისუფლდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსის თანამდებობიდან და დაინიშნოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე, 2018 წლის 23 მაისიდან.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა